საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020173045967421

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/5534 **16 / აგვისტო / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ პროექტის ფარგლებში, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო გეგმავს გამოაცხადოს აუქციონი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. საქასრიას მიმდებარე ტერიტორიაზე მარმარილოსმაგვარი კირქვის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. საქასრიას მიმდებარე ტერიტორიაზე მარმარილოსმაგვარი კირქვის (მოსაპირკეთებელი -1269000 $მ^3$, საღორღე - 2647000 $მ^3$) მოპოვების სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 500-650 მ. სიმაღლეზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. საქასრიას მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

სალიცენზიო ობიექტი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

ობიექტი არ ხვდება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი გელაშვილი